დავითის მეფობის შემზადება
(სემიოტიკური ექსკურსი)

დავით იესეს ძის ისტორია მისი მეფედ ცხებიდან გამეფებამდე – მთელი ეს ნარატივი შეიცავს ნიშნებს და ქმედებებს, რომელთაც აშკარად სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ. როგორც ყოველი მნიშვნელოვანი ბიბლიური ნარატივი, ეს მონაკვეთიც ორპლანიანია: აქ ვხედავთ დავითის სიტუაციისგან გამოწვეულ ქმედებებს, რომელთაც ავტორი მოგვითხრობს, და მათ სიმბოლურ მნიშვნელობებს, რომელთა შესახებ ავტორი არავითარ კომენტარს არ აკეთებს. დავითის ქმედებები, რომელთაც ის ჩადის გზაზე მეფეთ ცხებიდან გამეფებამდე, არ ატარებენ განზრახულობის რაიმე ნიშანს, რაც მიგვანიშნებდა მეფობის მიღწევის მის სურვილზე. მაგრამ ქმედებათა ხასიათი მისგან დამოუკიდებლად ამაზე მეტყველებს. დავითი თითქოს აგროვებს სიმბოლურ ნიშნებს, როგორც რეგალიებს, თავისი მეფობის ლეგიტიმაციისთვის. თუმცა ისინი მათ ერთობლიობაში ინსტიტუციურად არ შეადგენენ მეფედ კურთხევის რიტუალს, მაგრამ ფარულად მონაწილეობენ მისი, როგორც მეფის, სხეულის აშენებაში.

პროვიდენცია დავითს მეფობისთვის ამზადებს. განგების ძალით ის ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება მეფობას. ამისათვის, შესაძლოა, განგება თავად დავითის აქტივობას (სწრაფვას მეფობისკენ) ყველაზე ნაკლებად იყენებდეს. დავითი ბუნებრივად მიყვება თავის შინაგან ძახილს, სინდისის ხმას, მოწოდებას. განგება მხოლოდ დავითის ბუნებრივ – მორალურ-ზნეობრივ თვისებებს იყენებს. და ისიც აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტს დავითის გამეფებისთვის თავად საული აკეთებს. საულის უნებური ნაბიჯები დავითის გამეფებისა და მისი ავტორიტეტის გაზრდის გზაზე სიმბოლურიც არის და პრაგმატულიც – არც ერთი გაცნობიერებული არ არის. მის ხელს განგება მასში დაბუდებული ბოროტი სულის მეშვეობით წარმართავს.

ამოსავალი ვითარება

ქვეყანაში პარადოქსული სიტუაციაა შექმნილი: ორი ცხებულია: საული, რომელიც მეფობას ახორციელებს, მაგრამ უფლის სულმა დატოვა იგი; და დავითი, რომელიც არ არის მეფე, მაგრამ ღვთის მოწონებულია. ბოროტი სულით შეპყრობილი საულისგან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დევნილ დავითს ბევრჯერ მიეცა შემთხვევა მისი მოკვლისა, მაგრამ მასში ჯერ კიდევ არსებული ცხებულების მადლი, რომელსაც თავადაც დავითიც ატარებს, ხელს არ აღამართვინებს მასზე. პირიქით, მთელი ეს პერიოდი მისი ცხოვრებისა სიწრფელით და ცხებულის წინაშე თავის დამდაბლებით არის აღბეჭდილი. „ვის წინააღმდეგ გამოვიდა ისრაელის მეფე? ვის დევნი? მხოლოდ მკვდარ ძაღლს, მხოლოდ რწყილს რასმე“ (1მეფ. 24:15). ისრაელიანი ამგვარად მხოლოდ უფლის წინაშე შეიძლება აღიარებდეს თავის არარაობას („ხოლო მე მატლ ვარ და არა კაც“, ფსალმ. 21:7). დავითი, თუმცა თავადაც ცხებულია, ცხებულის წინაშე აცამტვერებს თავს, თავისი ცხებულება თითქოს დავიწყებული აქვს.

I. უმცროსი ძე

დავითის ცხებისა და მისი ძმებთან ურთიერთობის ნარატივი მოძულებული და დიდი მომავლის მქონე უმცროსი ძმის უნივერსალურ მოდელს იმეორებს, კონკრეტულად, მის იმ ვარიაციას, რომელიც იოსების ისტორიაში ხორციელდება.

სამუელი უფლის შთაგონებით ეწვევა ბეთლემელი იესეს (იშაის) სახლს, რათა ერთ-ერთი მის ძეთაგანი ცხოს მეფედ. იესე ჩამოატარებს მის წინაშე თავის შვიდ ძეს, მაგრამ მათ შორის არც ერთი არ აღმოჩნდება უფლის რჩეული. დარწმუნებული, რომ უფლის ცხებული სწორედ იესეს ძე უნდა იყოს, სამუელი ეკითხება მამას, კიდევ გყავს შვილიო? უმრწემესი შვილი კი ამ დროს ცხვარშია, რასაც (მწყემსად ცხვარში ყოფნას), როგორც მეფობის პირობას, პროვიდენციული დატვირთვა აქვს. მოიხმობენ სამწყესურიდან დავითს და სამუელი

არა ფარულად, არაძედ ძისი ძაძისა და Ძვიდივე ᲫᲫის თვალ∀იხ ცხეებს Ძას Ძეფედ (1Ძეფ. 16:13).

დავითი ძმების თვალში უკვე რჩეულია ისევე, როგორც იოსები იყო იყო მამისგან გამორჩეული ძმებს შორის და თავის რჩეულობას თავადვე გულახდილად მის მიერვე მოთხრობილი სიზმრებით ადასტურებდა, რამაც ძმებში მისდამი დაუფარავი მტრობა დაბადა („შემოსწყრნენ ძმები იოსებს“, დაბ. 37:11). მხოლოდ ვარაუდი არ იქნება, თუ ვიტყვით, ამ აქტის შემდეგ ძმების დამოკიდებულება დავითისადმი კარდინალურად შეიცვლებოდა. უფრო მეტი: უნდა მოველოდეთ რომ მამისთვის, იესესთვის, არ იქნებოდა დაფარული ძმების განწყობილება დავითისადმი, ისევე როგორც იაკობის შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, როგორც იაკობი, ისე იესე გზავნის რჩეულს ძმების მოსაკითხად მათგან მოძულებულ ძმას: იაკობი – სამწყესურში სამი დღის სავალზე (ხებრონიდან დოთაინამდე), „წადი გაიგე, როგორ არიან შენი ძმები, როგორ არის ფარა და მომიტანე ამბავი“ (დაბ. 57:14) იესე კი – არც ისე შორს საულის ლაშქარში გაწვეულ ძმებთან, „მოიკიხე ძმები და მოიტანე მათი ამბავი“ (1მეფ. 17:18). დამარტოხელებული იოსები ძმებმა ეგვიპტეში მიმავალ სოვდაგრებს მოჰყიდეს, დავითის ძმებმა კი მის მიმართ დაუფარავი აგრესია და სიძულვილი გამოამჟღავნეს:

> „გაიგონა ელიაბმა, მისმა უფროსმა ძმამ, ხალხს რომ ელაპარაკებოდა დავითი, და განურისხდა მას ელიაბი, უთხრა: რისთვის ჩამოხვედი აქ? ვის დაუტოვე ის მცირე ფარა უდაბნოში? ვიცი შენი ამპარტავნებისა და შენი ავგულობის ამბავი. მხოლოდ ბრძოლის საყურებლად ხარ ჩამოსული“ (1მეფ. 17:28).

არ უნდა იყოს ძნელი იმის დანახვა, რომ იაკობისა და იესეს ქმედება (რჩეული ძის გაგზავნა მასზე შემომწყრალ ძმებთან) პროვიდენციულია: გაყიდული იოსები ეგვიპტეში აღზევდა, ხოლო ბანაკში გაგზავნილ დავითს საშუალება მიეცა გოლიათთან შებმისა, რითაც მან, როგორც მხსნელმა, პირველი ნაბიჯი გადადგა მეფობისკენ. ამაზე ქვემოთ. ახლა კი ვილაპარაკოთ, თუ რა სიმბოლური ადგილი უჭირავს დავითს თავის ძმებში.

II. მერვე შვილი

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ რომ დავითი მერვე შვილია, არა მეშვიდე, რაც რიცხვთა ტრადიციული სიმბოლიკისთვის ბუნებრივი იქნებოდა. დავითი რომ მეშვიდე (ნაბოლარა) ყოფილიყო მის ბედში ამით არაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ იესეს რვა შვილი ჰყავდა და დავითი მერვე იყო, ხოლო მერვეს სხვა დატვირთვა აქვს, ალბათ უპირატესი, ვიდრე ბიბლიაში ფართოდ გავრცელებულ საკრალურ შვიდს. მეშვიდე საკრალურია, მაგრამ მერვე საკრალურზე საკრალურია, როგორც წმიდა შაბათის შემდგომი დღე, რომელიც იწყებს სრულიად ახალ პერიოდს ყოფიერებაში, როგორც ტრანსცენდენტული, შვიდეულისგან განყენებული რეალობა. როგორც რვა არ ეკუთვნის შვიდეულს, არ აგრძელებს მას, არამედ ახალ სათვალავს იწყებს, ასევე დავითი არ ეკუთვნის თავისი ძმების წრეს. მასში ფარულად, როგორც დვრიტა, ძევს ახალი რეალობის პერსპექტივა, ის, რაც ჯერ კიდევ პოტენციურმა ცხებულებამ უნდა მოიტანოს.

კიდევ...

III. ორი ცხებული

რაც შეეხება თავად ცხებას. მართალია, ცხება ცხადად, საჯაროდ, ყველას სახილველად ხდება, მაგრამ თავად მოქმედება, რასაც ცხება იწვევს ადამიანში უხილავი პროცესია. ამ დროს ცხებულზე უხილავად გადმოდის უფლის სული. ბიბლიას არ შემოაქვს ამ აქტის გათვალისჩინოებისთვის რაიმე ნიშანი, თუნდაც მტრედი, რომელიც მოგვიანებით სულიწმიდის სიმბოლო გახდა. დავითი, როგორც ცხებული, სულიწმიდით არის წარმართული და ამავე დროს დაცული. მაგრამ რა მოსდის ამ დროს საულს, რომელიც ცხებულია და, როგორც ცხებული, სრულიად ლეგიტიმურად მეფობს?

> “და აიღო სამუელმა ზეთით *ავსებული* რქა და სცხო მას მისი ძმების თანდასწრებით. ამ დღიდან და მერეც უფლის სული წარუმართავდა დავითს. და განეშორა საულს უფლის სული და დაუწყო მას წვალება ბოროტმა სულმა უფლისაგან“ (1მეფ. 16:13-14).

როგორც ჩანს საულში ძალა დაკარგა ცხებულებამ, რაკი უფლის სულმა დატოვა იგი. იგი თუმცა რჩება მეფედ, მაგრამ ამიერიდან მისი მეფობა თანდათანობით გზას უთმობს ახალი ცხებულს: საული ეჩინდება, დავითი იზრდება, მაგრამ დავითის თვალში საული

[illegible] მაინც რჩება ცხებულად და მისი დამოკიდებულება მისდამი ამ ცოდნით არის განპირობებული, რაც მან არაერთგზის გამოხატა.

III. მკურნალი

რას ნიშნავს „დაუწყო მას წვალება ბოროტმა სულმა უფლისაგან“? პროვიდენცია ისე მოაწყობს, რომ ერთმანეთს შეახვედროს ორი ცხებული, რათა მათ შორის გაიმართოს ბრძოლა, რომელიც თითოეულისთვის გამოცდა იქნება, თუ ვინ არის ისრაელის მეფობის ღირსი. საული დატოვა უფლის სულმა, მაგრამ არ იქნება მართებული, თუ ვიტყვით, რომ მის ნაცვლად მასში ბოროტმა სულმა, როგორც ასეთმა, ბოროტების მატარებელმა სულმა, დაისადგურა, და საული აივსო მით, როგორც უფლის სულით იყო ავსებული, როგორც წინასწარმეტყველი. პირიქით: მისი სული დაცარიელებულია, ეს სიცარიელეა, რომელიც აწვალებს მას. უფლის სულისგან მიტოვებით საულმა ერთბაშად დაკარგა ყველაფერი, პირველ რიგში, სულიერი სიმშვიდე, ხოლო წინასწარმეტყველების მოწოდება, რომელიც მას, როგორც მეფეს, ჰქონდა მიღებული, სიშმაგეში გადაეზარდა. ეს არის სულიერი მდგომარეობა ადამიანისა, რომელიც გრძნობს უფლისგან მიტოვებულობას.

საულის სულიერმა მდგომარეობამ განაპირობა ჭაბუკი დავითის, უკვე ცხებულის, მიწვევა სამეფო კარზე იმ ფუნქციით, რომელსაც თითქოს არაფერი საერთო მეფობასთან არა აქვს, მაგრამ მაინც დაკავშირებულია მასთან, რადგან მეფე, ცხების შემდეგ ახალ კაცად დაბადებული, წინასწარმეტყველის უნარით აღიჭურვება. ხოლო წინასწარმეტყველება და ჩანგი განუყრელია. მართალია, მუსიკალური ინსტრუმენტი (ქნარი თუ ჩანგი) ბოროტი სულით შეპყრობილი საულის მოძალებული შავნაღვლიანობის გასაფანტავად აქვს მომარჯვებული დავითს, იგი მის ხელში მეფე-წინასწარმეტყველის ნიშანიც არის. წინასწარმეტყველის მოწოდება მოითხოვს ჩანგს, როგორც პირობას უფლის სულის გადმოსვლისა. მას შემდეგ, რაც სამუელმა ცხო საულს, ახლადცხებულს შემოხვდა წინასწარმეტყველთა გუნდი სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტების თანხლებით (1მეფ. 10:5). ჩანგის ჰანგებს მოითხოვს წინასწარმეტყვველება. „ახლა, მომიყვანეთ მეჩანგე, – ამბობს ელისე, რომელიც ორმა მეფემ – ისრაელის და იუდას – მოიწვია საწინასწარმეტყველოდ, – და, როცა უკრავდა მეჩანგე, უფლის ხელი იყო ელისეზე” (4მეფ. 3:15). ჩანს, ქნარის თუ ჩანგის ჰანგი ის არხია, რომლის მეშვეობით უფლის სული ეუფლება ადამიანს და „სხვა კაცად” გარდაქმნის მას. იგივე არხია გახსნილი, როცა ჰანგით საულის შავნაღვლიანობა იფანტება, ანუ უფლის სულით ბოროტი სულის მოქმედება განიდევნება:

> „და როცა შემოაწვებოდა ბოროტი სული ღვთისაგან საულს, აიღებდა დავითი ქნარს და უკრავდა ხელში, და ამოისუნთქავდა საული და კარგად ხდებოდა, და გაეცლებოდა მას ბოროტი სული” (1მფ. 16:23).

აქ დავითი ქნარით ხელში გვევლინება მკურნალად, ფაქტიურად იტვირთავს მხსნელის როლს, რომელიც იწყება მეფის გამოხსნით ბოროტი სულით წვალებისგან და გადადის ქვეყნის ხსნაში მტრის მძლავრებისგან, რაც მეფის უპირველესი მოვალეობაა.

IV. მხსნელი.

უკვე საულის კარზე მყოფი დავითი, რომელსაც კეთილი თვალით შეხედა საულმა, უფრო ზუსტად, როგორც დედანშია, „მადლი ჰპოვა საულის თვალში”, შეესწრო ფილისტიმელი გოლიათის გამოსვლას და მის მიერ ისრაელიანებისა და მათი ღმერთის დამცირებას. ამ ეპიზოდს ომების წარმოების ძველ პრაქტიკაში რომ არ ჰქონდეს ანალოგიები, გველეშაპისგან გმირის მიერ სოფლის გადარჩენის მითოლოგემად მივიჩნევდით. თუნდაც მივიჩნიოთ, ეს საქმის ვითარებას არ შეცვლის: ყოველი რეალურ-ისტორიული ხდომილება შეგვიძლია რომელიმე მითოლოგემაში მოვაქცოთ და ტიპოლოგიურად განვაზოგადოთ. ამით მის ისტორიულ ავთენტურობას არაფერი დააკლდება. საულის საშველად ბეთლემიდან მოსული დავითი ახლა ისრაელს მოევლინა მხსნელად. წინამძღოლი – მეფის თუ მთავრის – მისია სწორედ ხსნაა, რამაც გამოიწვია ისტორიაში მეფე-მხსნელის ინსტიტუტი. შუმერელი მეფე – *ლუ-გალ* „დიდ კაცი” ქალაქის, თემის, მხსნელი უნდა ყოფილიყო კრიზისულ ვითარებაში. ძველი აღთქმის საზღვრებში რომ დავრჩეთ, მსაჯული (ებრ. *შოფეტ*) სხვა არავინაა, თუ არა ყოველი კონკრეტული გასაჭირიდან ხალხის მხსნელი (*მოშიაყ*), რომელიც მხსნელობის საქმეს უფლისმიერი ხარიზმით ახორციელებს. იმ

რეალობას, რასაც დღეს ჩვენ ამ ბერძნული სიტყვით (*ქარისმა*) გამოვთქვამთ, ძველი აღთქმის ენაში შეესაბამება ხშირად ნახსენები ფორმულა „და იყო უფლის სული მასზე“, „და მოიცვა იგი უფლის სულმა“ (შუმერულში ამ ფორმულის შესატყვისია: „როდესაც ნინგირსუმ თავის ქალაქს მადლიანი თვალით გადმოხედა, გუდეა ქვეყნის მწყემსად ამოარჩია, სამოც *სარ* (216 000) კაცს შორის ხელი დაადო...“). და, რაც საგულისხმოა, ის, ვისზეც უფლის სულია გადმოსული, ერთადერთია მოცემულ ვითარებაში. მხსნელი ერთადერთია, და ეს იყო დავითი ამ ორთაბრძოლაში, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა ისრაელისთვის. ისრაელს მეფე უკვე ჰყავდა – საული, მაგრამ გამოჩნდა დავითი, რომელმაც გოლიათის დამარცხებით, როგორც მხსნელმა, მეფობაზე პრეტენზია განაცხადა. ეს ფარული პრეტენზია, რომელიც წლების შემდეგ უნდა ეპოვა და ჰპოვა კიდეც განაღდება, დავითმა მეტაფორულად გამოთქვა საულთან საუბარში, ვიდრე გოლიათთან საბრძოლველად გავიდოდა:

> „და უთხრა დავითმა საულს: ნურავის გული ნუ შედრკება მის წინაშე. წავა შენი მსახური და შეებრძოლება ამ ფილისტიმელს.
> და უთხრა საულმა დავითს: ვერ გახვალ საბრძოლველად მაგ ფილისტიმელთან, რადგან შენ ჯერ ბავშვი ხარ, ის კი მებრძოლია სიყრმითგანვე.
> და უთხრა დავითმა საულს: მწყესავდა შენი მსახური თავისი მამის ფარას და, როცა დაეცემოდა ლომი ან დათვი და გაიტაცებდა ფარიდან ცხვარს,
> გავეკიდებოდი, ვკლავდი და პირიდან გამოვგლეჯდი. ყბაში ჩავავლებდი ხელს და ვკლავდი.
> ლომსაც და დათვსაც ამარცხებდა შენი მსახური. ამ წინადაუცვეთელ ფილისტიმელსაც იგივე დაემართება, რადგან სირცხვილში აგდებს ცოცხალი ღვთის რაზმებს.
> და თქვა დავითმა: უფალი, რომელიც დამიხსნიდა ხოლმე ლომისაგან და დათვისაგან, ახლაც დამიხსნის ამ ფილისტიმელისაგან. და უთხრა საულმა დავითს: წადი, უფალი იყოს შენთან!“ (1მეფ. 17:32-37).

თუმცა ეს მეტაფორაზე მეტია: ხალხის წინამძღოლისთვის, მხსნელისთვის, მწყემსის საქმიანობა არსობრივად მეფობის იგივეობრივია. ამიტომაც მწყემსი მეფის სინონიმი იყო როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ძველ ხალხებში, ჩვენს საუკუნეს კი სასულიერი წინამძღოლის ტიტულად შემორჩა. ლუგალზაგესი (2340-2316)„ ურუქის მეფე, შუამდინარეთის პირველი იმპერიის წინამორბედი, როგორც თავად ამბობდა თავის თავზე, მწყემსად იყო დაბადებული. ურის III დინასტიის დამაარსებელი ურნამუ განმადიდებელ ჰიმნში მოიხსენიება როგორც „მწყემსი (*სიპა*) ურნამუ“, „მწყემსი ჭეშმარიტი ურნამუ“; ხამურაბი თავისი კანონების პროლოგში აცხადებს: „ხამურაბი ვარ, ენლილისგან დადგენილი მწყემსი“, “ჭეშმარიტად მე ვარ მწყემსი, მშვიობისმყოფელი“ (იგივე) ეს წოდება აშურელ მეფეთა ტიტულატურაში მკვიდრდება... აგამემნონის ტიტულია „ხალხთა მწყემსი“ (*პოიმენ ლაონ*)... მოსე, რომელიც ფარაონის სახლიდან იყო გამოსული, მიდიამის მწყემსი გახდა და მისი მწყემსობა ხალხის წინამძღოლობად გარდაიქმნა. ყველაზე მკაფიოდ ეს გარდაქმნა ეზეკიელმა ჩამოაყალიბა ერთ-ერთ წინასწარმეტყველებაში:

> „მე თავად გადავარჩენ ჩემს ცხვარს და აღარ იქნება დატაცებული.
> მე ვიქნები მსაჯული ცხვარსა და ცხვარს შორის.
> ერთ მწყემსს დავუყენებ და ის დამწყესავს მათ. დავითს,
> ჩემს მსახურს, დავუყენებ; თავად ის დამწყესავს მათ
> და ის იქნება მათი მწყემსი“ (ეზ. 34:22-23).

საულთან სიტყვისგებაში დავითი ამბობს სრულიად აშკარად და დაუფარავად, როგორც იოსები თავის მომავალ დიდებაზე (და ამ გულახდილობის მსხვერპლი შეიქნა კიდეც), რომ თუ ადრე ის მამისეულ ფარას იხსნიდა ლომის ხახისგან, ახლა ისრაელს იხსნის ის გოლიათის მძლავრებისაგან. ადვილი ამოსაცნობის ვინ არის ის მამა, რომლის ფარასაც დავითი მწყესავდა და იხსნიდა: ერთი, ყოფითი, განზომილებით ეს მამა, ცხადია, იესეა, მისი მიწიერი მამა, მეორე განზომილებით, იგი უფალია, რომლის სამწყსოს – ისრაელის – მწყემსად ემზადება დავითი. საული იღებს ამ ცნობას, რომ ის ადრე მამის ფარას მწყესავდა, როგორც ინფორმაციას დავითის ბიოგრაფიიდან და მასში პროვიდენციალურ საზრისს ვერ ხედავს. მაგრამ მისი სიტყვები: „უფალი იყოს შენთან!“ პროვიდენციალურია.

შენიშვნა 2. *ლიტერატურაში პარალელია გავლებული დავით-გოლიათის ეპიზოდსა და მსაჯულთა წიგნის ერთ ეპისოდთან, სადაც მსაჯულ ეჰუდონის პერმშო(!) ვერ ბედავს*

[illegible] ორთაბრძოლას იმ მოტივით, რომ ბრძოლაში გამოუცდელია (მსაჯ. 8:20-23). დავითი ამ ყმაწვილის საპირისპიროდ იქცევა: პარადოქსულად სწორედ იმიტომ გადის ბრძოლაში, რომ გამოუცდელია, მისი გამოცდილება მხოლოდ მწყემსის გამოცდილებაა. დავითის იმედი უფლის სულია, რომელიც ამხნევებს მას, რასაც ჩვენ დღეს ქარიზმას ვუწოდებთ. მაგრამ მსაჯულთა წიგნის ამ ეპიზოდში სხვა რამ არის ჩვენთვის საინტერესო, რაც ეხმიანება მეფის, როგორც მხსნელის, როლს. როცა გედეონმა თავად დახოცა მოწინააღმდეგეები, მას უთხრეს (შესთავაზეს): „იბატონე ჩვენზე შენც, შენმა აქ მთავარი ის არის, რომ მას, როგორც მხსნელს, სთავაზობენ მეფობას. ვინც იხსნის, ის მეფობს. მეფე-მხსნელი – ეს ძველი პარადიგმაა, რომელიც შუმერიდან მოყოლებული მუშაობს ძველ ცივილიზაციებში, განსაკუთრებით იმ გენეზისში, როცა ხსნა მეფობის აღიარების ძირითადი (გადამწყვეტი) არგუმენტია. მხსნელობა მეფის თუ ტიტულატურაში არა, ცხადად თუ გადატანით მის ეპითეტად დამკვიდრდა ზოგიერთ კულტურაში. ხამურაბი იხსენიება როგორც „მხსნელი ურუქისა“, „თავისი ხალხის გამომხსნელი გსაჭირიდან“; ნაბატეველთა ზოგიერთ მეფის ტიტულატურაში შედის „ხსნა“: მეფე რაბელი, „რომელმაც გააცოცხლა და იხსნა თავისი ხალხი“; აღარ ლაპარაკობთ ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრე მეფეებზე, რომლებიც მხსნელებად (□□□□□) იწოდებიან.

მსაჯულთა ეპიზოდში გედეონი უარყოფს შემოთავაზებას, არც დავითი ცდილობს ამ ხსნის მოტივით მოიპოვოს მეფობა, თუმცა ეს გამარჯვება ჩადებული წინდია, რომელიც სამომავლოდ გამოიღებს ნაყოფს მეფობის სახით.

V. შემოსვა (ინვესტიტურა)

გოლიათთან ბრძოლის წინ საული ამზადებს დავითს, რომელმაც თავად გამოთქვა შებრძოლების სურვილი.

> “შემოსა საულმა დავითი თავისი საკუთარი სამოსელით, თავზე სპილენძიოს მუზარადი დაახურა და ჯავშანი ჩააცვა” (1მეფ. 17:38).

რატომ მოსავს საული დავითს საკუთარი სამოსელით, თითქოს გასაგები უნდა იყოს. ორიდან რომელიმე მოტივით: ან მას სურს დავითს გადასცეს სამოსელის მეშვეობით თავისი ხარიზმა (მან ჯერ არ იცის, რომ დავითიც უფლის ცხებულია), ან ფიქრობს, რომ მის სამოსელში გამოწყობილი დავითის გამარჯვება მისი გამარჯვება იქნება. პირველ შემთხვევაში იგი თითქოს მას გადასცემს მეფობას, თუნდაც დროებით, ხარიზმასთან ერთად; მეორე შემთხვევაში, მეფობის გადაცემა ფიზიკური (შემოსვის) მეშვეობით ხდება. ორთავე მოტივს ერთსა და იმავე სიმბოლურ ნიშნამდე მივყავართ: გოლიათთან ბრძოლის პროცესში დავითი მეფეა, იგი საულის ხარიზმითა და სამოსელით, რომელშიც მისი პატონის წილია, იბრძვის. აქ უნდა დავინახოთ იმის წინასწარუწყება, რაც საულის სიკვდილის შემდეგ განხორციელდა.

მაგრამ ამჯერად დავითს არ სურს საულის როლში ყოფნა: ცნობიერად თუ არაცნობიერად მას სურს საკუთარი თავი წარმოადგინოს ბრძოლის ასპარეზზე, იბრძოლოს საკუთარ შესამოსელში და საკუთარი იარაღით.

> “და შემოირტყა მახვილი დავითმა სამოსელს ზემოდან და იწყო სიარული, რადგან ნაჩვევი არ იყო. და უთხრა დავითმა საულს: არ შემიძლია ამაში სიარული, რადგან არა ვარ ნაჩვევი. და მოიხსნა ისინი დავითმა. აღო ხელში თავისი კომბალი, გამოაეჩია ხუთი რიყის ქვა...“ (1მეფ. 17:39-40).

შენიშვნა 3. *სამოსლის მეშვეობით ძალის თუ სტატუსის მემკვიდრეობით გადაცემის მაგალითს იძლევა წინასწარმეტყველ ელიასა და მისი მოწაფი ელისეს დამშვიდობების ეპიზოდი. ელიამ ცეცხლის ეტლით ცადამაღლებისას ელისეს გადმოუგო თავისი მოსასხამი, რომელშიც მისი სულის ორმაგი წილი იყო დაბუდებული. ამ მოსასხამმა ელისეს გაამეორებინა ის სასწაული, რომელიც ელიამ მოიმოქმედა (4მეფ. 2:8-14).*

VI. ხმა ხალხისა.

„და გაჰყვიროდნენ მხიარული ქალები, ამბობდნენ: „შემუსრა საულმა თავისი ათასი და დავითმა თავისი ათი ათასი“ (1მეფ. 18:7). საულმა სწორად ამოიცნო მხიარული ქალების

გულითადი შეძახილი (თუმცა ეს ხომ ხალხის ხმა არ იყო), შეიძლება ითქვასმ გახჭვრიდა მომავალი: „დავითს ათი ათასს აძლევენ, მე კი – ათასს. მეფობაღა აკლია“ (18:8-ბ). საგულისხმოა ამ კონტექსტში ხალხის სიტყვები დავითისადმი: „ჩვენისთანას ათი ათასს იწონი შენ“ (2მეფ. 18:3).

შენიშვნა 4. *არის აზრი, რომ მხიარული ქალების გულწრფელ შეძახილში სულაც არ იყო ნაგულისხმევი დავითის უპირატესობა და ათასი და ათი ათასი რეალურ რიცხვს არ უნდა აღნიშნავდეს, არამედ უბრალოდ თანაბარ დიდ სიმრავლეს, როგორც ფსალმ. 90:7-შია: „დაეცემა შენს გვერდით ათასი და ათი ათასი – შენს მარჯნივ“. თუმცა ეს ნამღერი ფართოდ განითქვა და მას სწორედ დავითის უპირატესობის აღსანიშნავად ამბობდნენ (2მეფ. 21:11; 29:5).*

VII. სამეფო და მეფის ასული

მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ უკიდურეს გასაჭირში, რომელიც ადგას ისრაელს და მის მეფეს გოლიათისაგან, საული მხსნელს თავის ასულს სთავაზობს ცოლად: „მის მძლეველს დოვლათით აავსებს მეფე და თავის ასულს მიათხოვებს ცოლად, და მამამისის სახლს გააზატებს ისრაელში“ (1მეფ. 17:25-ბ). დავითი რაზმებში შორის ტრიალებს და, უფროსი ძმის ფიქრით (1 მეფ. 17:28), თავისი ამპარტავნობით ზედმეტ ინტერესს იჩენს ამ ჯილდოს მიმართ:

> „ჰკითხა დავითმა ახლოს მდგარ კაცებს: რა ბედი ეწევა კაცს, ვინც ამ ფილისტომელს დაამარცხებს და სირცხვილს მოხოცავს ისრაელს? ვინ არის ეგ წინადაუცვეთელი, ფილისტიმელი, ასეთ სირცხვილში რომ აგდებს დღეს ღვთის რაზმებს?“ (1მეფ. 17:26).

ამ სამ ჯილდოთაგან – დოვლათი, მეფის ასული, გააზატება – მეფის ასული უმთავრესია, რომელსაც მოაქვს დოვლათიც და თავისუფლებაც. ამიტომ ეს ორი სახსენებელიც არ იყო. მათი ხსენება იმაზე მიგვითითებს, რომ საული თავის ასულში, რომელსაც სთავაზობს, იმ შინაარსს არ დებს, რომელსაც დავითი თავისი წინასწარმეტყველური გუმანით, თუნდაც ბუნდოვნად, უნდა ხვდებოდეს. ხოლო საულს ამ შეთავაზებას, უნდა ვიფიქროთ, თავად განგება შთააგონებს. სიღრმისეულად ეს წინადადება ასე გამოითქმის: ვინც გოლიათს ძლევს, მისი იქნება სამეფო. რადგან მეფის ასული სამეფოს განსახიერებაა, მასში, როგორც განძში, განივთებულია სამეფო. საული ამ მითოლოგემით მისდა უნებურად ამბობს, რომ სამეფო მის მხსნელს ეკუთვნის, სამეფო მისია, ვინც მას გამოიხსნის. ასეთ ვინმედ დავითი, ქნარის ხმაზე მეფის შავნაღვლიანობის უკუმყრელი, გამოჩნდა.

შენიშვნა 5. *ანალოგიისთვის მსოფლიო სიტყვიერებას რომ არ გამოვედევნოთ, ნესტანის მაგალითიც კმარა, რომლის გარეშე ტარიელისთვის ინდოეთის ტახტი მიულწეველია. თუმცა აფექტის მდგომარეობაში ის მიაძახებს ფარსადანს:*

> *„შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე!*
> *ინდოეთი ჩემი არის, არვის მივსცემ ჩემგან კიდე“ (569/566).*

მაგრამ, როგორც მომავალმა აჩვენა, სასტიკად მოტყუვდა ამ სიტყვები მთქმელი. სწორედ მეფის ქალის „გარიდებამ“ დააბრკოლა მისი გამეფება. პოემის ავტორმა ყველა ხდომილება ნესტანის დასატყვევებლად და ინდოეთის მტრის ხელში ჩასაგდებლად წარმართა, რათა მეფობის მოსაპოვებლად ტარიელი უფლისწულისა და ქვეყნის მხსნელი გამხდარიყო.

მეფის ასულის მოტივი რჩება ჰაერში გამოკიდებულ მითოლოგემად, რომელსაც არ ჰქონია რეალიზაცია. საულმა სხვა მიათხოვა თავისი უფროსი ასული მერობი, დავითს კი მიქალი (LXX-ში *მელქოლ*) შესთავაზა, როცა შეიტყო, რომ იგი დავითის მიმართ არ იყო გულგრილი, იფიქრა, „მივათხოვებ, რომ მახედ ექცეს მას“ (1მეფ. 18:21). მოტივი, როგორც ვხედავთ, არატრადიციულია. მაგრამ ეს შეთავაზებაც ხსნასთან არის დაკავშირებული: საული ურვადის სანაცვლოდ ასი ფილისტიმელის ჩუჩას მოითხოვს (1მეფ. 18:25) იმ იმედით, რომ მას „მისწვდებოდა ფილისტიმელთა ხელი“ (1მეფ. 18:21). ეს ე. წ. ძნელი დავალებაა, რომელსაც ზღაპრებში სასიმამრო ავალებს სასიძოს იმ განზრახვით, რომ ვაჟი ვერ შეასრულებს დავალებას და დაიღუპება, მაგრამ, როგორც წესი, სასიძო წარმატებით ძლევს

„ძნელ ამოცანას“. ასევე დავითმა წარმატებით შეასრულა ეს კურიოზული დავალება, რისთვისაც მიიღო მიქალი. მაგრამ საულმა მიქალი ვერ გამოიყენა დავითის სამტროდ.

ასეა თუ ისე, დავითი მაინც გახდა მეფის სიძე, რაც მას გამეფებას უქადის. პროვიდენციამ აქ მიქალის სიყვარული ჩართო: დაღუპვის ნაცვლად, რასაც საული მოელოდა, მიქალის სიყვარულმა იხსნა დავითი. როცა მეფისგან საფრთხე აშკარად დაემუქრა, მიქალმა გააპარა დავითი. (1მეფ. 19:11-12).

თავად დავითს ცხებულის სიძეობისთვის „თავი არ ეღირსებოდა“. მეფის წინადადებაზე, ჩემს ასულს მოგათხოვებო, პასუხობს: „ვინ ვარ მე, რა არის ჩემი ცხოვრება ან მამაჩემის გვარი ისრაელში, რომ მეფის სიძე გავხდე?“ (1მეფ. 18:18), ან როცა მეფის გამოგზავნილები ეუბნებიან, „დაესიძეო მეფეს“, პასუხობს: „ადვილი გგონიათ მეფის სიძეობა? მე ხომ ერთი უპოვარი და უბირი კაცი ვარ“ (18:23). არ ახსოვს ამ “უბირს”, რომ თავადაც ცხებულია? მაგრამ დავითმა ხომ იცის, რომ გოლიათთან საბრძოლველად მისი გასვლის ერთ-ერთი მოტივი ჯილდოთი (მეფის ასულით) დაინტერესება იყო: ამაოდ არ კითხულობს ამის შესახებ გამუდმებით (1მეფ. 17:26, 30), რისთვისაც უფროსი ძმის კიცხვას იმსახურებს. „რისთვის ჩამოხვედი აქ? ვის დაუტოვე ის მცირე ფარა უდაბნოში?.. მხოლოდ ბრძოლის საყურებლად ხარ ჩამოსული“ (1მეფ. 17:28).

ცოტა ხნის შემდეგ დავითი საულის წინაშე სიამაყით ახსენებს თავისი მამის ფარას, ძმამ აბუჩად აიგდო იგი სიმცირის გამო. თუმცა ამ სიტყვებით იმის თქმაც სურს, რომ დავითის ადგილი სამწყესურშია და არა ომში. დავითი კი, როგორც დავინახეთ, ამ ორ სფეროს შორის განსხვავებას ვერ ხედავს.

VIII. უფლისწული იონათანი

მეფის ასულების გარდა არსებობს იონათანი, რომელსაც განსაკუთრებული როლი აქვს დაკისრებული იმ პროცესში, რომელსაც დავითი გამეფებამდე მიჰყავს. იონათანი, მემკვიდრე უფლისწული, განუდგება მამას და თმობს უფლისწულობას დავითის სიყვარულისათვის. მხოლოდ სიყვარულისთვის, რადგან არ ჩანს, რომ მან იცის რაიმე დავითის ცხებულების შესახებ.

> 1 „და როცა მოათავა საულთან ლაპარაკი, შეეკრა იონათანის სული დავითის სულს, და შეიყვარა იგი იონათანმა როგორც საკუთარი თავი.
> 2 და წაიყვანა იგი (დავითი) საულმა იმ დღეს და არ მისცა ნება დაბრუნებულიყო მისი მამის სახლში.
> 3 და დადეს აღთქმა იონათანმა და დავითმა, რადგან შეიყვარა იგი როგორც საკუთარი თავი.
> 4 და გაიძრო იონათანმა მოსასხამი, მასზე რომ იყო, და მისცა დავითს, და თავისი შესამოსელი, და თავისი მახვილიც და თავისი შვილდიც, და თავისი სარტყელიც.
> 5 და ყველგან დადიოდა დავითი, სადაც კი გააგზავნიდა მას საული“ (1მეფ. 18:1-5).

ვხედავთ, როგორ არის შეჭრილი იონათანი საულსა და დავითს შორის, უფრო სწორად სიყვარული საულისა და დავითის ურთიერთობაში, ის-ის იყო მეფის ეჭვიანობა, შიში და სიძულვილი უნდა დაწყებულიყო. იონათანი ჩადგა მათ შორის, როგორც მხსნელი. შესაძლებელია ის, რაც აღწერილია მე-4 მუხლში, როცა ერთი მეორეს თავის სამოსელს და ნივთებს გადასცემს, ძმად გაფიცვის რიტუალი ყოფილიყო (თუმცა წესის სრულყოფისთვის ნივთების გაცვლა იქნებოდა უპრიანი, რასაც დავითის მხრიდან ვერ ვხედავთ). ამ ცალმხრივი გადაცემით ხილული ხდება ის, რაც პირველ და მესამე მუხლებშია ნათქვამი: „და შეიყვარა იგი იონათანმა როგორც საკუთარი თავი“. ამ ნივთებთან ერთად, მისი პიროვნების ატრიბუტებს რომ შეადგენს, იონათანის სული შეეკვრის დავითის სულს. და მაინც არ არის გამორიცხული, რომ აქ ხდება უფლისწულის მიერ სამეფო ინსინიების გადაცემა ფარულ ცხებულზე. თუმცა რეალურად არც ერთია მეფე და არც მეორე მემკვიდრე. ეს თამაშია თითქოს, ჩრდილი იმისა, რაც უნდა მოხდეს: დავითი დაიკავებს მემკვიდრის ადგილს.

დავითმა უარყო საულის მიერ სამოსლის ნიშნით შემოთავაზებული ვირტუალური მეფობა, მაგრამ მიიღო უფლისწულობა იონათანისგან. აქ ჩანს, რომ იონათანი უარს ამობს უფლისწულობაზე მეგიობრის სასარგებლოდ. სამოსლის მიღებამ დავითის მიერ აშკარად მიანიშნა, რომ დავითი საულის მემკვიდრეა.

IX. მოსასხამის ჯიდე

დევნილებაში მყოფ დავითს, რომლის გამუდმებული ძახილი იყო „საულ, საულ, რისთვის მდევნი მე“, ორგზის მიეცა შემთხვევა, მოეკლა მისი სამკვდრო-სასიცოცხლოდ მდევნელი საული. საული იქცევა როგორც ავაზაკი, დავითი კი – როგორც მეფე. აქაც პროვიდენციის ხელი ჩანს. დავითს საშუალება ეძლევა საულის მოკვლის, მაგრამ განგება დანდობის აქტით სიმბოლურ ქმედებას ჩაადენინებს მას.

„და როგორც კი დაბრუნდა საული ფილისტიმელთაგან, შეატყობინეს, ენგადის უდაბნოშიაო დავითი.

და აიყვანა საულმა მთელი ისრაელისგან გამორჩეული სამი ათასი კაცი და წავიდა დავითისა და მისი კაცების საძებრად სანიამორე კლდეებში.

და მივიდა ცხვრის სადგომებთან გზის ნაპირას, სადაც გამოქვაბული იყო, და შევიდა შიგ საული საჭირო საქმეზე. ხოლო დავითი და მისი კაცები გამოქვაბულის შიგნით ისხდნენ.

და უთხრეს დავითს მისმა კაცებმა: აჰა, ის დღეც, რომელზეც გითხრა უფალმა, აჰა, ხელში ჩაგიგდებო შენს მტრებს და უყავი მათ, რაც გენებოსო. და წამოდგა დავითი და ჩუმად მოაჭრა კიდე საულის მოსასხამს.

ამის შემდეგ სტკიოდა გული დავითს, რომ მოაჭრა კიდე საულისას.

და უთხრა დავითმა თავის კაცებს: ღმერთმა დამიფაროს, რომ ასეთი საქმე ვუყო ჩემს ბატონს, უფლის ცხებულს! ხელს როგორ აღვმართავ მასზე, რადგან უფლის ცხებულია იგი“ (1მეფ. 24:2-7).

მეფის მოსასხამის კიდის ანაჭერი სამმაგი სამხილია დავითის ხელში:

ა) ეს ანაჭერი ნიშანია დავითის ერთგულებისა და სიწრფელისა ცხებულისადმი: „შეხედე, მამაჩემო და დააკვირდი შემი მოსასხამის კიდეს, ხელში რომ მიჭირავს... ამაზე მიხვდი, რომ არა არის ჩემში ბოროტება...“ – ეს გადასძახა საულს გამოქვაბულიდან გამოსულმა, როცა საული კარგა მანძილზე იყო მოშორებული (1მეფ. 24:12);

ბ) ეს ანაჭერი ნიშანია გულისტკივილისა იმის გამო, რომ ცხებულის და მამის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ დაინდო იგი, ესოდენი კადნიერება გამოიჩინა, შეეხო რა მის ინტიმურ საკუთრებას.

გ) ეს ანაჭერი ნიშანია იმისა, რომ თავის დროზე დავითი დაეპატრონება სამეფოს, რომელიც ახლა საულს უჭირავს.

სამოსლის ანაგლეჯი, თუნდაც ის მეფისაც არ იყოს, რომ სიმბოლურად სამეფოს გამოხატავს, ეს პირველად იმ ეპიზოდში გამოჩნდება, სადაც სამუელი უცხადებს საულს, რომ უფალმა მოიძულა იგი ისრაელის მეფედ, ანუ წაართვა მეფობა.

„და შეტრიალდა სამუელი წასასვლელად და მოეჭიდა საული მისი მოსასხამის კალთას და გაიგლიჯა კალთა. და უთხრა სამუელმა: გამოგგლიჯა დღეს უფალმა ისრაელის მეფობა და მისცა იგი შენს თვისტომს, შენზე უკეთესს“ (1მეფ. 15:27-28).

არის კიდევ ეპიზოდი ძველ აღთქმაში, სადაც სამოსლის სიმბოლურობა უფრო რელიეფურია და დამაჯერებელი. წინასწარმეტყველის ენაში სამოსელს სამეფოს მნიშვნელობა აქვს.

„ისე მოხდა იმხანად, რომ გასული იყო იერუსალიმიდან იერობოამი და შემოხვდა გზად სილოამელი წინასწარმეტყველი ახია, რომელსაც ახალი მოსასხამი ესხა. ამ ორის მეტი არავინ იყო მინდვრად.

და აიღო ახიამ ახალი მოსასხამი, მოსხმული რომ ჰქონდა, და თორმეტ ნაწილად დაგლიჯა.

და უთხრა იერობოამს: აიღე შენთვის ათი ნაგლეჯი, რადგან ასე ბრძანა უფალმა, ისრაელის ღმერთმა: გამოვგლეჯ სამეფოს ხელიდან სოლომონს და შენ მოგცემ ათ შტოს.

და ერთი შტო მას დარჩება ჩემი მსახურის, დავითის, გულისათვის და იერუსალიმის გულისათვის, ქალაქისა, რომელიც ავირჩიე მე ისრაელის ყველა შტოდან“ (3მეფ. 11:29-32).

ხშირად წინასწარმეტყველების სიტყვიერად გადაცემას წინასწარმეტყველთა პრაქტიკაში ცვლის მოქმედება. ასე იქცეოდა ჰოსია, იერემია, ეზეკიელი და სხვანიც, როცა ამის საჭიროება დადგებოდა. ჰოსია ცოლად ირთავს გარყვნილ, მაგრამ საყვარელ ქალს იმის საჩვენებლად, რომ უფალს დაცემულნიც უყვარს და შეიწყნარებს ყველა მათგანს, თუ დაუბრუნდებიან მას (ოსია, 3); იერემია უღელს იდგამს ქედზე და ასე დადის იერუსალიმის

ქუჩებში ხალხის დასაწმუნებლად, რომ აიტანონ ბაბილონის უღელი (27:211); ეზეკიელი ლტოლვილის გუდას მოიკიდებს ზურგზე და გალავნის ნანგრევიდან სტოვებს ქალაქს იმის საჩვენებლად, თუ რა მოელის ხალხს (12:3-11).

იერობოამისთვის ახიას წინასწარმეტყველება დამაჯერებელი რომ ყოფილიყო, ახიამ არ დაინდო ახალი მოსასხამი და ორ და ათ ნაგლეჯად აქცია იგი იმის საჩვენებლად, რა დაემართება მოკლე ხანში ისრაელის ერთიან სხეულს. წინასწარმეტყველის თორმეტ ნაწილად გაგლეჯილმა მოსასხამმა ისრაელის გაგლეჯილი სხეულის სიმბოლიკა იტვირთა.

ახიას ეს მოქმედება – მოსასხამის დაგლეჯა – წინასწარმეტყველური სიშმაგეა, რასაც საღი აზრი ვერ გაამართლებს, მაგრამ პარადოქსულად სწორედ ამ უგნურებას აქვს დამარწმუნებელი ძალა, უფრო მეტად, ვიდრე გონივრულ საქციელს ან რაციონალურად წარმოთქმულ სიტყვებს, რომლებიც ესმით, მაგრამ ვერ ხვდებიან.

თუმცა დავითის ხელში საულის მოსასხამის კიდის ანაჭერს განზრახული წინასწარმეტყველების ნიშნად ვერ მივიჩნევთ (როგორც ზემოთჩამოთვლილ ეპიზოდებშია), მაგრამ საულმა მასში სწორედ ის დაინახა, რაც განგებას ჰქონდა ჩაფიქრებული, სახელდობრ, დინასტიის შეცვლა. მას შემდეგ, რაც დავითმა შორიდან დაანახა მას ეს ნიშანი, საულს სტოვებს (ოღონდ დროებით) ბოროტი სულით გამოწვეული სიშმაგე, აღიარებს დავითის სიმართლეს და თავის სიავეს, და მნიშვნელოვან სიტყვებს წარმოთქვამს:

> „ვინ არის ისეთი, რომ დაჭერილი მტერი გაუშვას გზაზე? უფალმა გადაგიხადოს სიკეთით იმის საზღაურად, რაც დღეს მიყავი.
> ახლა კი მჯერა, რომ ნამდვილად იმეფებ და განმტკიცდება შენს ხელში ისრაელის სამეფო (1მეფ. 26:20-21).

„ახლა კი მჯერა...“ რამ დააჯერა? იმან, რომ შეფარებულში საჭიროებისთვის უმწეოდ ჩამუხვლილი მტერი, დაინდო? ეს ნამდვილად მეფური საქციელია, ასე მხოლოდ მეფე თუ მოიქცეოდა. ამ კერძო შემთხვევაში კი ცხებულმა ცხებული დაინდო.

X. შუბი და მათარა

კიდევ ერთხელ მიეცა დავითს თავის მდევნელზე შურისგების და მეფობის ხელში ჩაგდების შანსი.

> „და მივიდნენ ღამით დავითი და აბიშაი ხალხთან და, აჰა, ხედავენ, წევს მძინარე საული შუაგულ ბანაკში და მისი შუბი სასთუმალთან არის ჩარჭობილი...
> და უთხრა აბიშაიმ დავითს: ღმერთმა ჩაგაგდებინა დღეს ხელში შენი მტერი. ახლა ერთი დაკვრით დავაკლავ მიწას, მეორე აღარ დამჭირდება.
> და უთხრა დავითმა აბიშაის: ნუ დაღუპავ მას, რადგან უფლის ცხებულზე ხელის აღმმართველი დაუსჯელი ვერ გადარჩება...
> და აიღო დავითმა შუბი და მათარა საულის სასთუმლიდან და წავიდნენ თავისთვის...“ (1მეფ. 26:11-12).

ეს ორი სამხილიც – შუბი და მათარა მეფის, როგორც მებრძოლის და როგორც ცოცხალი ადამიანის აუცილებელი საგნებია. შუბის ხელში ჩაგდება მისი პატრონის განიარაღების, ხოლო მათარისა მისი სიცოცხლის წყაროდან მოწყვეტის ნიშანია. მაგრამ დავითი უბრუნებს მათ თავის პატრონს. დავითი საულის არც ძალაუფლებას ხელყოფს და არც სიცოცხლეს.

ნიშანდობლივია, რომ ეს შუბი იგივე შუბია, რომლითაც საული ორგზის შეეცადა, კედელზე მიეგმირა დავითი (1მეფ. 18:10-11; 19:9-10). ორსავე ეპიზოდში დავითის მშვიდობიანობა და საულის აგრესიულობა, შესაბამისად, ქნარისა და შუბის სემანტიკით არის წარმოდგენილი („„დავითი ქნარზე უკრავდა ჩვეულებისამებრ, საულს კი შუბი ეჭირა ხელში“). ახლა კი ეს შუბი დავითს უპყრია ხელთ, მაგრამ სულაც არ ცდილობს საულის კვალზე მის გამოყენებას.

ამავე დროს ისიც აღსანიშნავია, რომ საულის აგრესია ბოროტი სული წარმართავს, რაც (ბოროტი სულის დასადგურება მასში), თავის მხრივ, უფლისგან მოძულების ნიშანი. აქ ერთმანეთს უპირისპირდება არა მხოლოდ ქნარი და შუბი, არამედ უფლის სული და ბოროტი სული. ის სული, რომელიც ჭაბუკი საულის თავზე გადმოვიდა სამუელის ხელით ზეთით ცხებისას და გააწინასწარმეტყველა, ახლა დავითზე გადმოსული.

ამ (შუბისა და მათარის) ეპიზოდში და სხვაგან საულ-დავით-საულის მოკვლის

ამ (სულისა და ხორცის) ერთიდან და სხვაგან, სადაც დაგეს საელის სოკვლის შემთხვევა ეძლევა, ჩანს, დავითს არ სურს, რომ სისხლიანი ხელით, როგორც უზურპატორმა, მოიპოვოს მეფობა. ამ თვალსაზრისით, დევნილების მთელ პერიოდში მისი დევიზია, ხელი არ აღმართოს ცხებულზე.

XI. დევნილება

დევნილების სიმწარეს მეორე, **დადებითი** მხარე აქვს. ისრაელის ისტორია პირველი მხსნელის დევნილებით დაიწყო. (გამ. 2:11-15). მოსე ერის წინამძღოლის პარადიგმული ფიგურაა. ფარაონის კარზე გაზრდილი და, უნდა ვიფიქროთ, ფარაონობის პრეტენდენტი, ორმოცი წლის განმავლობაში დევნილია ფარაონის მიერ, ეს ორმოცი წელი მწყემსობის წელიც არის, რომელიც მას ამზადებს წინამძღოლობისთვის. მოსე მსახურობდა მწყემსად მიდიანელ მღვდელთან და, სინას მთაზე გამოცხადება რომ არა, ალბათ საბოლოოდ დამკვიდრდებოდა მიდიანის ტომში. დავითს კი თავის დევნილებაში არ ჰქონია უსაფრთხო თავშესაფარი, ყველგან სწვდებოდა მას საულის ხელი, საული სასტიკად უსწორდებოდა მის შემფარებელთ, მღვდელი იქნებოდა, წინასწარმეტყველი თუ რიგითი ისრაელიანი (1მეფ. 22:6-19). ერთხანს ფილისტიმელებთანაც გადავიდა, ისრაელის მტერთან, კინაღამ შეუერთდა მათ თავისი მცირერიცხოვანი რაზმით საულის წინააღმდეგ. ერთხანს თავიც კი მოიგიჟიანა უსაფრთხოების მიზნით. და უფრო მეტიც, როგორც თავად ამბობდა, იგი იდევნებოდა თავისი ქვეყნიდან, რომ წილი არ ჰქონოდა უფლის სამკვიდროში, ეუბნებოდნენ, წადი, უცხო ღმერთებს ემსახურეო (1მეფ. 26:19). ამ სასჯელით – აბსოლუტური განკვეთით დამნაშავეებს სჯიდნენ ისრაელში. მაგრამ როცა დევნილება (ან განკვეთა) პროვიდენციულია, განდევნილი ბრუნდება თავის ქვეყანაში და იმარჯვებს.